

მდინარე ძამას წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის ჰიდროლოგიური საფუძვლები

დავით მეურმიშვილი

ელ-ფოსტა: daviti.meurmishvili929@ens.tsu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი. ჭავჭავაძის გამზირი #3, 0179, თბილისი

საქართველოში არსებული წყლის რესურსი საჭიროებს რაციონალურ ათვისებასა და ინტეგრირებულ მართვას, ხოლო მისი პოტენციალის კომპლექსური გამოყენება მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ქვეყნის განვითარებაში.

საქართველოში ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის მქონე ტერიტორიები ბევრია, თუმცა დღეის მდგომარეობით მისი მხოლოდ ოცი პროცენტია ათვისებული. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ასეთ ტერიტორიებზე შესაძლებელია წყლის რესურსის არა მხოლოდ ენერგეტიკული არამედ კომპლექსური დანიშნულებით გამოყენებაც (ირიგაციისთვისა და სასმელი-საყოფაცხოვრებო მიმართულებით).

წყლის რესურსის ინტეგრირებული მეთოდებით მართვის თვალსაჩინოებისთვის შეფასებული გვაქვს მდინარე ძამას წყალშემკრები აუზი რომლის ჰიდროლოგიური რეჟიმი იძლევა მისი ეფექტური გამოყენების საფუძველს. კერძოდ განხილულია საშუალო წლიური ხარჯები, ჩამოანდენის შიგაწლიური განაწილება, მაქსიმალური და მინიმალური ხარჯები, მყარი ნატანი და სხვა. გაანგარიშებულია წყალმოხმხმარების სიდიდეები სხვადასხვა სექტორისათვის (მოსახლეობა, ირიგაცია, ენერგეტიკა) წყლის რაოდენობრივი მახასიათებლები. ამგვარი მიდგომა წარმოადგენს ცდას აუზური მართვის შემთხვევაში შეფასდეს წყლის რესურსები და ოპტიმალურად მოხდეს მისი გადანაწილება წყალსამეურნეო კომპლექსის მონაწილეებს შორის.